პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 45 (19786) შაბათი, 21 თებერვალი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ორი თვის გეგმა — 25 თებერვლისათვის

70 ოქტომბერი

თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, გულმოდგინედ შრომობს ახალი მიჯნების დასაძლევად. შრომითს მეტოქეობაში დაწინაურდა გაერთიანებისა და, კერძოდ, მისი მეთაური ქარხნის ათობით უბანი, ბრიგადა და საამქრო. 30 ბრიგადამ და რვაასმა მუშამ გადაწყვიტეს ორი თვის სახელმწიფო გეგმები საბჭოთა საქართველოს 66-ე წლისთავისათვის შეასრულონ, და არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სიტყვას არც ერთი მათგანი არ გატეხს.

შრომითს მეტოქეობაში განსაკუთრებით დაწინაურდა მექანიკური საამქროს ლითონმჭრელთა ის ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ნოე მაგრაქველიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადირი 25 წელზე მეტია ამ საწარმოში შრომობს და ამ ხნის განმავლობაში მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. იგი 25 თებერვლისათვის პირველი კვარტალის გეგმას შეასრულებს, ხოლო მისი ბრიგადა — ორი თვისას.

აქებენ ფართო მოხმარების საგნების ხელოვნური ტყავისგან კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის საქმიანობასაც. ეს კოლექტივი მაუვალა ქერაულის ხელმძღვანელობით სისტემატურად იმარჯვებს შეჯიბრებაში და ყოველთვის მზად არის ახალი დაბრკოლებების გადასალახავად. ბრიგადის გადაწყვეტილებაა 25 თებერვლისათვის უპატაკოს სამშობლოს ორი თვის დავალების შესრულება და უმატოს შრომის ტემპს.

როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზეა მექანიკური საამქროს მტვიფრავი დვითკენკაშვილი. 25 თებერვლისათვის მოწინავე მუშა სამი თვის დავალებას შეასრულებს. ყველაფერს ღონობენ ნაკისრი ვალდებულებების უთუო რეალიზაციისათვის აგრეთვე მ. ბერაძის, ხ. ცერიძის, ე. მამულაშვილის, ა. მელაძისა და სხვათა ბრიგადები.

მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

ლატვიის სსრ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აქტივთან შეხვედრაზე

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა ლატვიის პარტიულ-სამეურნეო აქტივთან შეხვედრაზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადად მოგესალმებით თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა ლატვიის ყველა მშრომელს, ყველა მცხოვრებს.

უწინარეს ყოვლისა მინდა გითხრათ: ფრიად კმაყოფილი ვარ იმით, რომ მომეცა შესაძლებლობა ეწვეოდი თქვენს რესპუბლიკას. აქამდე მხოლოდ ლიტვაში ვყოფილვარ, სადაც ვასრულებდი ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სასაამოვნო დავალებას: ვმონაწილეობდი რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში და გადავეცი ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, რომლითაც დაჯილდოვდა საბჭოთა ლიტვა.

ეს იყო საინტერესო, მოვლენებით აღსავსე მოგზაურობა, რომელმაც შესაძლებლობა მომცა კარგად გავცნობოდი რესპუბლიკას, რადგან იმ დღეებში საშუალება მომეცა შევხვედროდი ადამიანებს, გამეგო მათი გულისნადები. დიდი შთაბეჭდილებანი დამრჩა.

და აი, ახლა თქვენს რესპუბლიკას ვეწვიე. მელის მოგზაურობა საბჭოთა ესტონეთში. ამით ახდა ჩემი დიდი ხნის სურვილი — რაც შეიძლება ახლოს გავცნობოდი საბჭოთა ბალტიისპირეთის ხალხთა ცხოვრებას.

რიგასა და ზოგიერთ სხვა ადგილას ყოფნის დღეებში მქონდა ბევრი საინტერესო, შინაარსიანი საუბარი. ეს იყო საუბრები საწარმოებში, სოფლის მცხოვრებლებთან, დამსვენებლებთან, ეჩეჩებში.

ყველა ეს საუბარი ჩემთვის მნიშვნელოვანია, რადგან ეს ჩემი პირველი ჩამოსვლაა ლატვიის მიწა-წყალზე. მინდა ამ ხანმოკლე მოგზაურობისას მეტი ვნახო, გავიგო, შევიტყო, მივხვდე და ცოცხალ შთაბეჭდილებათა საფუძველზე საკუთარი წარმოდგენა შევიქმნა. ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ლატვიაში უკვე ბევრჯერ ყოფილიყავი. ალბათ, იმიტომ, რომ ყველანი ვიცნობთ ჩვენს საერთო ისტორიას, იგი მეტად ურთიერთდაკავშირებულია მრავალი საუკუნის მანძილზე და მით უმეტეს უკანასკნელ ათწლეულებში.

ჩემი მივლინება თქვენს რესპუბლიკაში პირველია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ. და სავსებით ბუნებრივია სურვილი უფრო უკეთ შევიტყო რესპუბლიკის შრომელთაგან მათი აზრი პლენუმის შესახებ, მათი შეფასება, შევიტყო, თუ რა გეგმები აქვთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ამ თვალსაზრისითაც სავსებით გარკვეული აზრი შემექმნა, რომელსაც მოგახსენებთ.

შეხვედრას, ამხანაგებო, დავიწყებ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური კონსტატაციით. ჩვენ დავიწყეთ, ვცხოვრობთ და ვშრომობთ საიუბილეო წელს. 1987 წლის ნოემბერში 70 წელი უსრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ეს ჩვენი საერთო ისტორიის დიდი მოვლენაა, რომელსაც შემობრუნებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ხალხთა ბედისათვის. ეს არის XX საუკუნის უდიდესი მოვლენაც, რომელმაც უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიო პროცესზე.

ჩვენი ქვეყნის ხალხებს ბევრი რამ აქვთ სათქმელი მსოფლიოსათვის, როცა თავიანთი ბრძოლის შედეგებს აჯამებენ, აქვთ, რა აღნიშნონ, აქვთ, რით იამაყონ, აქვთ, რა დადონ ისტორიის სასწორზე, — ეს უწინარეს ყოვლისა ჩვენი საერთო მძლავრი თანამედროვე სახელმწიფოა, ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული წარმატებანია, რომლებსაც მივაღწიეთ, როცა საკუთარი სოციალისტური არჩევანი მოვახდინეთ.

ჩვეულებრივ ასეთ დროს ჩავუფიქრდებით ხოლმე წარსულს, აუარდებით და კრიტიკულად ვაფასებთ დღევანდელობას და დაკვირვებით შეჭყურებთ მომავალს. ეს გასაგები და გამართლებულია.

ჩვენ ვიცით მეფის რუსეთის ნამდვილი ისტორია, საკუთარი შეხედულებანი და შეფასებანი გვაქვს, რომლებიც მეცნიერულ მარქსისტულ ანალიზზეა დაფუძნებული. ვიცით და საკუთარი აზრი გვაქვს ეროვნული პოლიტიკის შესახებ, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობა ახორციელებდა.

მაგრამ ჩვენი ხალხების ხსოვნაში მარად დაცულია, თაობიდან თაობას გადაეცემა ის, თუ როგორ ეხმარებოდა მრავალი საუკუნის მანძილზე არაერთხელ — ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ჩვენი ქვეყნის ეს რეგიონი, სადაც ახლა ვიმყოფები, — რუსი განმათავისუფლებელი მეომარი ბალტიისპირელ მხვნელ-მთესველსა და მებადურს დაეცვა მშობლიური მიწა-წყალი შებღალვისა და კაბალისაგან, დაეცვა იგი უცხოელი დამპყრობისაგან.

ნარ-ეკლიანი და რთული იყო ბალტიისპირელ ხალხთა გზა სოციალიზმისაკენ. სულ რამდენიმე თვეს — ერთი ისტორიულ წუთს იარსება საბჭოთა ხელისუფლებამ ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში. მაგრამ თავისუფლების ყლუპმა მხოლოდ გააძლიერა სოციალური სამართლიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის წყურვილი.

მთელი გმირული ბრძოლა ბალტიისპირეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისათვის, აღდგენისა და განმტკიცებისათვის მოწმობს, რომ ვერ გატეხავ ხალხთა რევოლუციურ ნებას, უკუღმა ვერ დაატრიალებ ისტორიის ჩარხს.

თქვენთან შეხვედრაზე მინდა გავიხსენო, რა ფიდან ეფიანებს აძლევდა ლატვიის ბოლშევიკთა ორგანიზაციებისა და პროლეტარული მასების კლასობრივ სოლიდარობასა და შეკავშირებას ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. „რევოლუციის დროს ლატვიის პროლეტარიატსა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიას, — წერდა იგი, — ერთ-ერთი პირველი, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ თვითმპყრობელობისა და ძველის წყობილების მთელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

წარსულს რომ ეუბრუნდებით, ჩვენ რუსეთის პროლეტარიატთან ერთიანან მწყობრში ვხედავთ ბალტიისპირელ მუშებსა და გლეხებს. წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე თქვენმა შესანიშნავმა მუზეუმმა — ლატვიელ წინელ მსროლელთა ძეგლმა. უმძიმესი განსაცდელის ჟამს ამ ლეგენდარულმა მებრძოლებმა ნამდვილი მასობრივი გმირობა გამოიჩინეს, ოქტომბრის მონაპოვართა დაცვაში ინტერნაციონალიზმისა და ვაჟკაცობის ჭეშმარიტი მაგალითი გვიჩვენეს. დიდად მეომა მათთან შეხვედრა. აღტაცებული დავრჩი, თუმცა ამას მოველოდი კიდეც, რა მტკიცე სულისა არიან ეს ადამიანები. ან, ვის უნდა ვბაძავდეთ.

დიახ, ახლანდელი არჩევანისაკენ ბალტიისპირეთის ხალხები დიდხანს მიდიოდნენ. და ეს არჩევანიც, დღევანდელი დღეც, შეიძლება პირდაპირ ითქვას, ჩვენი სახელმწიფოს რუს და სხვა ხალხებთან ერთობლივი ბრძოლით, ტანჯვა-წვალებით არის მოპოვებული.

სსრ კავშირის მრავალეროვანი ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წევრებმა — ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა მის შემადგენლობაში შეიძინეს ეროვნული საბჭოთა სახელმწიფოებრიობა, რომელმაც უზრუნველყო მშრომელი ხალხის ნამდვილი თავისუფლება და დემოკრატია.

დღეს იქნებ ღირდეს იმაზე ლაპარაკიც, რაზეც ყოველთვის როდი ელაპარაკობთ, რასაც, კაცმა რომ თქვას, უკვე შევეჩვიეთ და მიგვაჩნია, რომ თავისთავად იგულისხმება, მე ელაპარაკობ სოციალიზმის მონაპოვრებზე.

საზღვარგარეთის ერთ-ერთ გაზეთში ამას წინათ ჩვენს საზოგადოებას უწოდეს „შინისაგან თავისუფალი საზოგადოება“. ეს უაღრესად მრავალმნიშვნელოვანი აღიარებაა.

დიახ, მართლაც, ჩვენი საზოგადოებისათვის უცნობია ისეთი სოციალური კატასტროფა, როგორიც არის უმუშევრობა, ადამიანის ყველაზე ელემენტარულ უფლებათა გათელვა, ხელალინდელი დღის შიში. ამას ვამბობ, რათა ხაზგასმით აღვნიშნო, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის რა მოჯნაზე, რა სიმაღლეზე აიყვანა ჩვენმა რევოლუციამ ქვეყნის ყველა ხალხი.

სხვა საქმეა, რომ დღეს ჩვენ ეს მიღწევები აღარ გვაკმაყოფილებს. ამიტომ განწყობილი ვართ გადაჭრით გარდავქმნათ ჩვენი საზოგადოება, მივანიჭოთ მას დაჩქარება.

ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა სოციალისტური პირობებში შეუერთეს თავიანთი მატერიალური და სულიერი რესურსები სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს და მიიღეს უნიკალური შესაძლებლობა დაეყრდნონ მთელი ჩვენი ხალხის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის უზარმაზარ პოტენციალს. მოხდა ძალების არა უბრალოდ შეკრება, არამედ მრავალგზისი გამრავება.

ყოფილი ბურჟუაზიული სახელმწიფოები მათთვის დამახასიათებელი ეკონომიკური უთანაბობა და სტაგნაციით სოციალისტურ გარდაქმნათა წლების მანძილზე გადაიქცნენ ყოველმხრივ განვითარებულ საბჭოთა რესპუბლიკებად, რომლებსაც მრავალდარგოვანი ინდუსტრიულ-აგრარული ეკონომიკა, სოლიდური სამეცნიერო და კულტურული პოტენციალი აქვთ.

თავისთავად ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან არსებითად ხელაზლა შეიქმნა დიდი მანქანათმშენებლობა, ელექტროენერგეტიკა, ქიმიური ინდუსტრია, გაჩნდა მძლავრი სავაჭრო და თევზსაჭერი ფლოტი.

1940 წელთან — სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლის წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქცია ლატვიაში გაიზარდა 55-ჯერ, ესტონეთში — 58-ჯერ ლიტვაში — 77-ჯერ.

ყოველივე ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. აი მაგალითი იმისა, რა შეუძლიათ ადამიანებს სოციალისტური საზოგადოების პირობებში.

მაგრამ მარტო ქალაქებისა და სოფლების, კარმიდამოების იერი როდი შეიცვალა. უწინარეს ყოვლისა შეიცვალა თვით ხალხების ცხოვრების წესი. სოციალიზმმა ფართო გზა გაუხსნა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისა და ეროვნების ეროვნულ აღორძინებას.

განა შესანიშნავი არ არის, რომ აქაური მწყემსებისა და ხელოსნების შვილიშვილები დიდი მეცნიერები, ურთულესი რადიოელექტრონული აპარატების კონსტრუქტორები, სპეციალისტი აგრარიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები გახდნენ, რომელმაც საპატიო ჯილდოები დაიმსახურეს. ბევრი მათგანი კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც.

ბალტიისპირეთის თანამედროვე მუშათა კლასს და გლეხობას ის ადამიანები შეადგენენ, რომლებსაც ხელეწიფებათ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ახალი ამოცანების გადაწყვეტა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა გამოყენებით.

თვით ჩვენი სინამდვილე აბათილებს რეაქციული ემიგრანტული წრეების, მათი დასავლეთ მფარველების ღვარძლიან, ცილისმწამებლურ ჭორებს. მთელი მათი წინააღმდეგობა ეკარგა ისტორიას. გააქარწყლა. თუმცა, ისინი ახლაც წელებზე ფეხს იდგამენ, ოღონდ ჩირქი მოსცხონ საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ბალტიისპირეთის ხალხთა მიღწევებს.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ძაღლი ყეფს, ქარი ქრის, ქარავანი კი მიდისო. ბალტიისპირეთის ხალხების ძლევამოსილ წინსვლას ვერავინ შეაჩერებს ისევე როგორც, ვერავინ შეაჩერებს საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ წინსვლას.

სოციალიზმს შეუძლია მისცეს და მისცემს კიდეც მშრომელებს უფრო მეტს, თუ ჩვენ გაბედულად ვიფლეთ წინ ხალხის მასების შემოქმედებისა და ინიციატივის განვითარების, ნოვატორობისა და განახლების გზით, გარდაქმნის გზით.

იქნებ ახლა სწორედ დროული იყოს შევეხოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის თემას, რადგან ის, რასაც იგი გვთავაზობს, სწორედ პასუხია კითხვაზე, ჩვენ, ახლანდელნი თაობამ, როგორ განვაგრძოთ წინა თაობების ესტაფეტა და ჩვენი წვლილი შევტანოთ ქვეყნის შემდგომ განვითარებაში.

უკვე მოგახსენეთ, რომ ეს ქვეყანაში ჩემი პირველი მოგზაურობაა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ, და ბუნებრივია, მაინტერესებდა, უწინარეს ყოვლისა, რას ფიქრობენ ჩვენი საბჭოთა ადამიანები. მის შესახებ, რა დასკვნები გამოაქვთ პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, რა გავლენას ახდენს ყოველივე ეს გარდაქმნის ტემპზე, სიღრმესა და მასშტაბზე.

რა თქმა უნდა, შემიძლია მხოლოდ შთაბეჭდილებებზე ვილაპარაკო. ჩემი აზრით, პლენუმი ლატვიაში სწორად აღიქვეს, მისი მნიშვნელობა აქ გაიგეს.

უკვე ვთქვი, რომ იანვრის პლენუმი განსაკუთრებული ნიშანსვეტია დაჩქარების გზაზე, გარდაქმნის გზაზე. აპრილის პლენუმმა საშუალება მოგვცა გაგვეზიარებინა ქვეყანაში არსებული სიტუაცია და ზოგადად დაგვესახა მომავალი პოლიტიკის კონტურები, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება ვუწოდეთ. აპრილის პლენუმის შემდეგ მუშაობის ერთმა წელმა შესაძლებლობა მოგვცა გაგვეზარდინა ეს პოლიტიკა და ვრცელი სახით წარმოგვედგინა ყარიბისათვის, ქვეყნისათვის, მსოფლიოსათვის.

მაგრამ წინათაც ხომ ყოფილა, რომ ვიღებდით მასშტაბური, პოლიტიკური, სტრატეგიული მნიშვნელობის დიდ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ყოველთვის ვერ მივგვაყვდა ბოლომდე, ვერ ვახორციელებდით.

იანვრის პლენუმის ამოცანა ის იყო, რომ ქვეყნის, პარტიის, ხალხისათვის შეეთავაზებინა ისეთი ღონისძიებები, რომელთა რეალიზაციას ჩვენი ყირილობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის რეალიზაცია მოჰყვებოდა.

ჩვენ დიდხანს ვიფიქრეთ, ამაზე, დიდხანს ვიმსჯელეთ. და რა საკითხებიც უნდა განგვეხილა ამ შემთხვევაში, საბოლოო ანგარიშში, ამხანაგებო, ყველაფერი ებჯინებოდა ერთ რამეს: იმისათვის, რომ ნამდვილად ავაშოქმედოთ გარდაქმნა, და იმისათვისაც, რომ ეს საქმე კამპანიად არ იქცეს და ერთ-ორ წელიწადში, ან უფრო ადრეც კი არ შეწყდეს, უნდა გავაკეთოთ მთავარი — ჩავაბათ ამ საქმეში ხალხი — გარდაქმნის მთავარი მოქმედი პირი.

უადამიანებო, უიმისოდ, რომ მათ სულით, გულით და გონებით აღიქვან გარდაქმნა, იგულონ იგი თავიანთ პოლიტიკად, რომელიც სჭირდება ყოველ კაცს, ყოველ ოჯახს, ყოველ შრომითს კოლექტივს, არაფერი გამოვა. და, მეორე მხრივ, ხალხმა თუ არა, სხვამ უკეთ ვინ იცის ყველაფერი, რაც ყოველ შრომითს კოლექტივში, სოფელში, ქალაქში, ყოველ რესპუბლიკაში თუ მთლიანად ქვეყანაში ხდება.

ვითომ რა — კონტროლიორებმა იციან უკეთ? ეს ყველაფერი არასერიოზულია. ყველაფერი ხალხმა იცის, მაშასადამე, მას დროულად შეუძლია დაინახოს ყველაფერი, რაც ხელს უშლის გარდაქმნას, რაც საფრთხეს უქმნის ჩვენს ახალ პოლიტიკას, ჩვენი საზოგადოების განახლების სტრატეგიას. და მას შეუძლია დროულად, ჯერ კიდევ ჩანასახშივე მოუაროს ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენას. მაშასადამე, ისევ და ისევ მან ყველაფერი უნდა იცოდეს, ყველაფერს უნდა ხედავდეს, მონაწილეობდეს საზოგადოებრივ პროცესში, როგორ მივაღწიოთ ამას? სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ ყველა კარი გავუღოთ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ფართო დემოკრატიზაციას.

აი, ამხანაგებო, მთელი პოლიტიკური ჩანაფიქრი. იგი მარტივია, როგორც თვით სიმართლე. იანვრის პლენუმის შეფასებისას ადამიანები დარწმუნებით, მგზნებარედ, როგორც მომჭიანენ ჩვენ ყოფიერებით ამბობდნენ, რომ მოლოდინი გაუმართლდათ.

იგივე გავიგონე თქვენი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ბორის კარლის ძე ჰუგოსაგან. ეს მოდური ფრაზა არ ყოფილა. იგი შეიცავს განზოგადებას თქვენი ცოდნის, თქვენი აზრისა იმის შესახებ, რომ იანვრის პლენუმმა ჩვენს ხალხს მოლოდინი გაუმართლა.

ახლა ცენტრალურ კომიტეტში, მთავრობაში სულ უფრო მეტი დადასტურება მოგვდის იმისა, რომ იანვრის პლენუმმა გამოხატა მშრომელთა აზრები, ნება, მისწრაფება ცვლილებებისადმი.

ოღონდ, ისევ მაძლევდნენ ერთი და იგივე კითხვას: ხომ არ შეჩერდება ეს ყველაფერი? და ისევ იყო სურვილი — არ გადაუხვიოთ, არ შეჩერდეთ, მტკიცედ იარეთ ამ გზითო. ლენინგრადში სულ პირველი მოგზაურობის დროიდან უკვე მერამდენედ ისევ მესმის ეს სიტყვები: „ასე განაგრძეთ, ასე განაგრძეთ!“.

მაშასადამე, ხალხს მაინც ჯერ კიდევ არ გაქრობია შეშფოთება.

აი ამაზე უნდა იფიქროს პარტიულმა აქტივმა. თუ არის პოლიტიკა, რომელიც ხალხმა აღიქვა, არის ადამიანების ფართო მხარდაჭერა, რაღად ვლინდება შეშფოთება? ალბათ, ადამიანები ადევნებენ თვალს სიტუაციას თავიანთ კოლექტივში, სოფელში, ქალაქში. დაუფიქრდით, ამხანაგებო, ესე იგი, ალბათ ყველანი — ჩვენი აქტივიც და ჩვენი კადრებიც — არ დასდგომიან გულდაგულ გარდაქმნის გზას.

მე ვიტყოდი, რომ ახლა ძალზე საჭიროა ერთმანეთს არ დაშორდეს ის, რაც გამოვაცხადეთ, ესე იგი ჩვენი პოლიტიკა და პრაქტიკული საქმეები. ეს უბედურება იქნება. და, როგორც ჩანს, აი ეს პრობლემა — სიტყვისა და საქმის ერთიანობა — მუდამ მხედველობაში უნდა გვქონდეს, მით უმეტეს, რომ ხალხს ამის თაობაზე ბევრი დაუგროვდა მწარე მოსაგონარი. წერდნენ, ლაპარაკობდნენ ერთს, ცხოვრებაში კი სხვა ხდებოდა. ხდებოდა გაორება. და ეს, თქვენც იცით, ჩვენს მორალს ამრუდებდა. ეს ახდენდა გავლენას ადამიანების განწყობილებაზე, საზოგადოებრივი და შრომითი საქმიანობისადმი დამოკიდებულებაზე. და, ამხანაგებო, ეს ახდენდა ძალიან დიდ უარყოფით ზემოქმედებას ჩვენი მოზარდი თაობის მოქალაქეობრივი პოზიციების ჩამოყალიბებაზე. ეს ყველას მხედველობაში უნდა გვქონდეს.

უფროსი თაობების არანაკლები პასუხისმგებლობაა მოამზადონ ახალგაზრდობა ცხოვრებისათვის, იმისათვის, რომ ჩაებას ამ პროცესში და იტვირთოს მრავალი ამოცანის გადაწყვეტა.

ჩვენ ვთქვით, რომ თანამიმდევრულად ვიფლით დემოკრატიზაციის გზით. რაც შეეხება ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მთავრობას, ჩვენ უკვე ახლა ვამზადებთ მთელ რიგ დოკუმენტებს, რომლებიც სამართლებრივ საფუძველს შეუქმნიან დემოკრატიზაციის გზს. საწარმოთა შესახებ კანონის პროექტი უკვე ვამოქვეყნდა. ამ პროექტში ყველაფერია, რაც ეხება დემოკრატიზაციას წარმოების სფეროში.

არა მგონია, რომ ჩვენ ამ პროექტით ყველაფრის მოცვა შეძელითო, მაგრამ იქ არის სამსჯელო ბაზა. და იმედი მაქვს, რომ მშრომელები, მათ შორის თქვენს რესპუბლიკაშიც, ჩაუფიქრდებიან ყველაფერს, რაც მასშია ჩამოყალიბებული. და ყველაფერს, რაც დემოკრატიზაციასთან დაკავშირებულ ჩვენს საერთო ინტერესებს შეესაბამება, მხარს დაუჭერენ, ხოლო რაც გამოგვრჩა, ალბათ გვიკარნახებენ. ამის იმედი გვაქვს.

წლეულს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები მოგველის. ჩვენ გვინდა უკვე მორიგი საარჩევნო კამპანიის დროს შევამოწმოთ ბევრი შედგომა, რომლებიც შემდეგ საფუძვლად დაედება ახალ საარჩევნო სისტემას და რომლებიც გვინდა დავამკვიდროთ კანონით საარჩევნო სისტემის შესახებ. ესე იგი, აქაც ვსახავთ კონკრეტულ ნაბიჯებს.

ჩვენ გვჭირდა საუბარი ამის თაობაზე ბორის კარლის ძესთან და მან წამოაყენა წინადადება, რომ რესპუბლიკურმა პარტიულმა ორგანიზაციამ, აქტივმა, მშრომელებმა, რომლებიც უფროსი თვალსაზრისით უჭერენ მხარს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი ახალ მიდგომებს, მოსინჯონ ისინი ლატვიაში, და არა მარტო ერთ რაიონში, ერთ ქალაქში, ერთ სასოფლო საბჭოში, არამედ ფართოდ — იქნებ, მთელ რესპუბლიკაში. ქვეყნ როგორ ფიქრობთ? (ტაში).

თუმცა მივესალმებით ამ წინადადებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სჯობს არ აჩქარდეთ. (სიცილი). მინდა ვთქვა: კიდევ იფიქრეთ. და ჩვენ მზად ვართ თქვენთან ერთად განვიხილოთ თქვენი წინადადებები.

მაგრამ თქვენი ტაში გამოხატავს ამ გზით მტკიცედ, რეალურად წინსვლის განწყობილებას.

ბევრი საკითხი, რომლებიც XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს — საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა გარდაქმნის საკანონმდებლო საკითხებს, — განხილებება სკკპ საკავშირო კონფერენციაზე, რომლის შესახებ გადაწყვეტილებას შივიღებთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ უახლოეს პლენუმზე. სწორედ კონფერენციაზე, ეფიქრობ, განვიხილავთ ყველაფერს, რაც ეხება შინაპარტიული საქმიანობის სრულყოფას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრებას, მათ შორის თვით არჩევნების ხასიათსაც, არჩევითი პარტიული ორგანოების ფორმირებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ თვალსაზრისით წინ ვიგლეთ.

და, როცა დრო მოვა, უსათუოდ მოვეთათბირებით ჩვენს ყველა რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციას, პარტიულ აქტივს.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ აღარ დავუშვებთ, რომ ის, რაც ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე ითქვა, განსხვავებულად ჩვენი პრაქტიკული საქმიანობისაგან. ეს ყველაფერი გაკეთდება.

ყურადღება თუ მიიქციეთ, შემდგომი დემოკრატიზაციის თვალსაზრისით განვიხილეთ მთელი რიგი სამეურნეო საკითხები, რომლებიც აგრეთვე წინ სწევენ ამ პროცესს. უწინარეს ყოვლისა, ეფიქრობ, სახალხო მეურნეობაში კოოპერაციის სხვადასხვა ფორმის ფართო განვითარებისა და გამოყენების შესახებ. ეს შესაძლებლობას გვაძლევს გადაწყვეტოთ ბევრი საკითხი, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით არ კისრულობს ჩვენი ეფიდეული საზოგადოების ცხოვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო სექტორი ეკონომიკაში.

ახლა დადგა ჩვენი ადგილობრივი ორგანოებისა და, უწინარეს ყოვლისა, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების, ყველა ამ საქმეში მთელი ჩვენი კადრების უმეცარ და ფართო კონკრეტული მონაწილეობის ეტაპი.

უპირველია საკითხი ასე დაისვას: რამდენადაც მტკიცედ, თანამიმდევრულად განახორციელებენ დემოკრატიზაციის, გარდაქმნის გზს ადგილობრივი ორგანოები, იმდენად უფრო სწრაფად წაგვივა საზოგადოების საქმეთა მართვაში მშრომელთა ჩაბმის საქმე და, მაშასადამე, დაჩქარების მთელი პროცესიც.

ახლა სიმძიმის ცენტრი აქ გადმოდის, ამხანაგებო. პოლიტიკა არის, მექანიზმები მოფიქრებულია, ბევრი საკითხი გადაწყვეტილია, საჭიროა ახლა ჩვენი ადგილობრივი პარტიული ორგანოების მუშაობის მეშვეობით ყოველივე ეს დავუკავშიროთ რეალურ ცხოვრებას, შრომითს კოლექტივებს. ეფიქრობ, ყველა თქვენგანს ეს კარგად ესმის, და, დამეთანხმებით, რომ ეს სწორედ ასეა. ასეთია მიმდინარე მომენტის თავისებურება.

უნდა ვთქვა, რომ ბევრი უკვე ასე მოქმედებს. არა მარტო ფიქრობს, მოქმედებს კიდეც.

მინდა ვთქვა, რომ იანვრის პლენუმზე ორ დღეს უვრცელესი დისკუსია იყო ამ საკითხებზე. არავის არ ახსოვს, როდის იყო ჩვეთთან, თუმცა არც არავისთვის გვითხოვია და არ გაგვიფრთხილებია, რომ „კამათში მონაწილეობისათვის ჩაწერილიყო 77 კაცი და გამოსულიყო 34 კაცი. კოლექტიურად, დემოკრატიულად ვცანთო, რომ დავამთავრებდით დისკუსიას. მაგრამ მას მიუხედავად ამისა, მაშტაბური, ღრმა, აქტიური ხასიათი ჰქონდა. ბევრი რამეც ითქვა.

როცა ჯერ კიდევ იანვრის პლენუმის შედეგებზე ვფიქრობდით, გაზეთში წავიკითხე, რომ კემეროვოს ერთ-ერთ ორგანიზაციაში უკვე მოეწყო პირველი მდივნის არჩევნები. ამასთან, იმან, ვინც იქ მონაწილეობდა, მითხრა, შესანიშნავი პლენუმი იყოო. ნამდვილად გულახდილობის ლენინური სულისკვეთება სუფევდა, როცა გამოდიოდნენ ამხანაგები, ახასიათებდნენ თითოეულ კანდიდატს — ესენი კი იყვნენ რაიონმასკომის თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი. თვითონ კანდიდატებიც გეზიზარებდნენ ამ საათებში განცდილ შთაბეჭდილებებს. აი, ეს არის არჩევნები, ამხანაგებო. მხარდაჭერაც ორივეს კარგი ჰქონდა. 49 წევრიდან, როგორც ჩანს, პარტიის მცირე რაიონული კომიტეტია, — ერთმა 29 ხმა მიიღო, მეორემ — 20. დემოკრატიულად გადაწყდა საკითხი.

ბევრი რამ კეთდება — და ეს უკვე ითქვა ხმ. — თქვენს ზოგი-

(დასასრული მე-2 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ჯერ კიდევ არ შეუგნია, შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს. იმასაც გეტყვით, რომ ჩვენს საუკეთესო კადრებსაც კი ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, რომ დადგა ახალი ეტაპი მათს მუშაობაში.

აი გუშინ ვიყავით ვეფში. გამოვიდა ორი მუშა — ამხანაგები გავრილიუკი და კრამინში. გეტყვით, ყველაზე საინტერესო გამოსვლები იყო. სხვა რანგების ყველა წარმომადგენელი ჩვეულებრივ ცოტა არ იყოს, ისევე, როგორც წინათ, „ამრგალეს“, ინფორმაცია, ცოტა არ იყოს, ასე ვთქვათ, ვარდისფრად გამოიყურება. ისინი კი ადგენენ ან საგნებს თავიანთი სახელი უწოდეს. დირექტორის სახით პროგრესული ხელმძღვანელი გვყავს, მათ კი შეახსენეს, რომ იგი იშვიათი სტუმარია საამქროებში, რათა მოეთათბირონ პრობლემებზე, რომლებიც აწუხებთ.

— ან, — თქვა გავრილიუკმა, — კრებაზე მივდივარ, ვეთათბირები ჩემს ამხანაგებს, ვის რა აწუხებს, რა აღელვებს. და კრებაზე უკვე მივდივარ არა მარტო საკუთარი აზრით, არამედ იმით, რაც ჩემს ამხანაგებს აწუხებთ. გამოვალ კრებაზე და ამით მთავრდება ყველაფერი. ყველაფერი წინანდებურად რჩება. იბადება კითხვა: რისთვისღა გაიმართა კრება? თქვენ რა ფორმისათვის მეკითხებით: „რაზე ფიქრობთ, ამხანაგო მუშებო?“

ეს დემოკრატიობანაა. არადა, ეს სერიოზული რამ არის, უამისოდ მოძრაობა არ იქნება, თუ ხალხს არ ჩავებამთ. არადა, ახლაც ხომ შეიძლება ასევე ეცადონ — მოდით, ამხანაგებო, გაგვაკრიტიკეთ, თქვით ყველაფერი, როგორც არის. დიახ, ყველაფერი თქვა ხალხმა, კრება დამთავრდა და ყველაფერი ისე დარჩა, როგორც იყო. მეორე კრებაზე რომ მოვიდნენ, იგივე პრობლემები დარჩენილიყო. წლის დამლევსა და საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც ისე დარჩენილა, როგორც იყო.

ეს დემოკრატიის პროფანაცია და აბუჩად აგდებაა. ასე იყო, მაგრამ ეს აღარ უნდა მოხდეს, ამხანაგებო.

მიმწოფებული საკითხები უნდა განიხილებოდეს და წყდებოდეს. გადაწყვეტილება შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც. მაგრამ საჯაროდ უნდა ითქვას: ეს საკითხები მიღებულია, ეს საკითხები სწორად დაისვა, მაგრამ მათი გადაწყვეტის საშუალება ჯერჯერობით არ არსებობ. და არა ასე უბრალოდ: უკვალოდ გაქრა.

ეს არის ყველაზე უპატივცემულო დამოკიდებულება ხალხისადმი. ეს არის სწორედ წმინდა წყლის ფორმალიზმი, ბიუროკრატიზმი.

მ. ს. ვიდე მშრომელებთან შეხვედრაზე საბჭოების ხაზით—დაგეისვით ითხვები, შემოიტანეთ წინადადებები. ამ წინადადებებს კი არსად, არც ბიუროზე, არც აღმასკომზე არ განიხილავენ. არაითარი დაკვლება არ მოუციათ, არაფერი არ კეთდება. ეს რა დემოკრატიაა? ეს არის ხალხის ნამდვილი მოტყუება. მას სწორედ ასე უნდა ვუწოდოთ პარტიულ ლენინურ ენაზე.

აი ახლა, როცა იანვრის პლენუმის შემდეგ ვავითარებთ დემოკრატიზაციის პროცესს, უნდა მივხვდეთ, რომ ისე მოქმედება, როგორც ზოგჯერ აქამდე ვმოქმედებდით, აღარ გამოგვადგება.

გთხოვთ ამხანაგებო იფიქროთ ყოველივე ამაზე. იფიქრეთ, ის, რაც მე ვთქვი, რამდენად გეხებათ თქვენ.

მე უკვე მითქვამს, რომ გარდაქმნა ერთდროული აქტი როდია, ეს, როგორც იტყვიან, კავალერიის შეტევა კი არა, ჩვენს საზოგადოებაში ღრმა ცვლილებების, ნამდვილად რევოლუციური ცვლილებებისათვის გამიზნული გრძელვადიანი პოლიტიკაა.

დიახ, ახლა ბევრს კარგად ესმის ეს პარტიაშიც, და მთლიანად ქვეყანაშიც.

მართლაც, ამხანაგებო, ჩვენ ვსაუბრობთ სახალხო მეურნეობის ღრმა ცვლილებების შესახებ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა საფუძველზე მისი ღრმა მოდერნიზაციის შესახებ.

მაგრამ მის განსახორციელებლად, უწინარეს ყოვლისა, ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, მაგალითად, ჩვენი სამამულო მანქანათმშენებლობის მოდერნიზაციისათვის, მისი მაღალი ტექნიკური დონის უზრუნველყოფისათვის, უნდა გამოვუშვათ წარმოების იარაღები და საშუალებები, რომლებიც შეესაბამება თანამედროვე ტექნოლოგიებს, მსოფლიო დონეს და რომლებიც სახალხო მეურნეობას გაიყვანენ ახალ ტექნოლოგიებზე, მიიღწევინებენ მას დიდ შრომის ნაყოფიერებას.

ვფიქრობთ, თქვენ ყველანი მიწიერი, ცხოვრების გამოცდილებით გაბრძნილი ხალხი ხართ და კარგად გაქვთ წარმოდგენილი — ადვილია ლაპარაკი ტრიბუნიდან, სტატიების წერა, მაგრამ სინამდვილეში ეს იოლი პროცესი როდია, მაშასადამე, გვჭირდება დრო.

ახალი ამოცანები, ახლებური მიდგომას, მთელი ჩვენი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებას მოითხოვს, და, უბრალოდ, საჭიროა კაპიტალური დაბინდებანი.

ჩვენ ნამდვილად უნდა განვახორციელოთ ახალი სოციალური პოლიტიკა, ამიტომ ვეძებთ დამატებითს რესურსებს. მაგრამ არც ეს არის იოლი ამოცანა. თქვენ იცით, 1986 წელს ჩვენ მოვუმატეთ, მეტი ავაშენეთ საცხოვრებელი სახლები. 5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი გადავეცით შესასახლებლად. მაგრამ ვერ შეასრულეთ სპბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისების გეგმა. ვერ შეასრულეთ სკოლების, საავადმყოფოების, სკოლამდელი დაწესებულებების, კულტურული ობიექტების მშენებლობის გეგმა. ფული გამოვეებნეთ, მაგრამ გეგმა ვერ შეასრულეთ. რატომ? სუსტია სამშენებლო ბაზა. მაშასადამე, უნდა გავზარდოთ ჩვენი ქვეყნის და სამშენებლო ორგანიზაციების სამშენებლო ძლიერება, დავნერგოთ სამეურნეო იჯარა, და ყველაფერი ის, რაც ამას სჭირდება. მივიზიდოთ ხალხი აქტიური მონაწილეობისათვის. არ კმარა, ამხანაგებო, გამოვითხოვოთ ახლა სახსრები. უნდა ვისწავლოთ, როგორ მოვახმაროთ საქმეს ყველაფერი.

როგორც ჩანს, თუ ობიექტურად, რეალურად შევაფასებთ ვითარებას, ყველაზე ძნელი ჩვენთვის იქნება მიმდინარე და კიდევ ორი წელი. ეს კარგად უნდა გვესმოდეს. გვესმოდეს და თითოეულმა თავის ადგილზე — მხედველობაში მყავს მუშა ჩარხთან, გლეხი ფერმაში ან მინდორში, მეცნიერი, სპეციალისტი საკონსტრუქტორო ბიუროში, ლაბორატორიაში და სამეურნეო კადრები თავიანთ პოსტებზე, პარტიული და საბჭოთა ორგანოები — ყოველივე იღონოს, რათა დაძრას გარდაქმნა და მოგვცეს მეტი, ვიდრე მოველით.

ამიტომ, ამხანაგებო, ვამთავრებრა ამ თემაზე ლაპარაკს, მინდა თქვენ, ლატვიის და მთელი ქვეყნის მშრომელებს, აი, ასეთი აზრი მოგაწოდოთ: პატიოსნები უნდა ვიყოთ ჩვენი ადამიანების წინაშე, საბჭოთა ადამიანებს ვიწვევთ უაღრესად ძნელ სამუშაოზე, მაგრამ იგი ყველას მეტად გვჭირდება. ბევრგან ვიკითხე, ცენტრალური კომიტეტშიც კი: აქვს ვინმეს სხვა ალტერნატივა, სხვა წინადადება, გარდაქმნისა და დაჩქარების გარდა, — წამოაყენეთ ისინი. სხვა წინადადებები არ არის.

ეს ერთადერთი სწორი გზაა, და ამ გზით უნდა ვიაროთ, მაგრამ მას უდიდესი ძალისხმევა სჭირდება, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. და რაც უფრო ენერგიულად ვიშრომებთ, რაც უფრო მტკიცედ ვიმოქმედებთ ამ თავდაპირველ ეტაპზე, უფრო შეჭიდროებულ ვადებში გადავწყვეტთ ამოცანებს, რომლებიც თვით ცხოვრებამ დაგვისახა, — მით უფრო სწრაფად ვიგრძნობთ უკუგებასაც. შედეგები კი აუცილებლად იქნება.

რატომ ვამბობ ამას, ამხანაგებო? ჩვენთან, ცენტრალურ კომიტეტში მოდის ინფორმაცია, რომ ზოგან გაისმის ხმები, გამოთქვამენ ასეთ მოსაზრებას: ყველგან მოგვიწოდებენ გარდაქმნისათვის, მან კი რა მოგვცა, რას იძლევა ეს გარდაქმნა? თქვენ, ალბათ გაგიგონიათ ასეთი კითხვები. ამავე დროს ასეთ აზრს გამოთქვამენ არა მარტო ისინი, ვისაც გარდაქმნა აშკარაებს და გვიჩვენებს, თუ რას წარმოადგენს იგი, არამედ ისინიც, ვინც მხარს უჭერს გარდაქმნას, მზად არის მონაწილეობდეს მასში.

ბევრს მოუნდა, დაუყოვნებლივ მიიღოს გარდაქმნისაგან ყველაფერი, რაც სურს. ეს .დიდი გაუბრალოებაა, თუ ახლა იგი ასე გვესმის.

არ მინდა დიდი პოლემიკა გავმართო ამ საკითხზე. თუმცა ეს თემა საჭიროებს, რომ იგი საფუძვლიანად გაიშალოს.

ახლა, აი, რა მინდა ვთქვა. უწინარეს ყოვლისა, ვერ დავეთანხმები იმ აზრს, თითქოს გარდაქმნას არაფერი მოეცეს. მშრომელები რას ფიქრობენ? მე ყველგან დამისვამს ეს კითხვა. მართლაც, გარდაქმნამ ბევრი რამ მოგვცა და ადამიანები დარწმუნდნენ ამაში.

მართლაც, მოკლე პერიოდში მოგამზადეთ ყრილობა, რომელმაც წ�მოაყენა საპრგრამო და ხალხის ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა — საშინაოც და საგარეოც. განვახორციელეთ ქვეყანაში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების ღონისძიებები, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, ნეგატიური მოვლენებისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის, საზოგადოებაში საჯაროობის განვითარების, მისი ატმოსფეროს გაჯანსაღების ღონისძიებანი. და ბოლოს, ძალზე სერიოზულად გავშალეთ მუშაობა და დავიწყეთ ჩვენი ეკონომიკის გადაყვანა მეურნეობრიობისა და მართვის ახალ მეთოდებზე. ყოველივე ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია. ასეა თუ ისე, ამ წანამძღვრების — პოლიტიკური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, სამართლებრივი, იდეოლოგიური წანამძღვრების გარეშე სათუოა, რომ დღეს შეეძლებოდით კარდინალური ღონისძიებების განხორციელებას, რომლებზეც ლაპარაკი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე.

მე ვილაპარაკე ხუთწლედის შედეგებზე — თქვენ გესმოდათ. სწორედ ეს მოგვცა გარდაქმნამ. რაც მთავარია, აუშავდა ადამიანის ფაქტორი, შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება. ეკონომიკა, მისი ტექნიკური დონე ხომ ამ ხნის განმავლობაში მაინცდამაინც არ შეცვლილა, მაგრამ მატება მოხდა, დაიწყო მოძრაობა. ჩვენი ხალხი გამოეხმაურა ასეთ გარდაქმნას. ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

სხვა საქმეა — და მე ამას მთლიანად ვეთანხმები, ისევე როგორც მთელი პოლიტბიურო და მთავრობა, — რომ ჩვენ მართლაც ჯერ ეს-ეს არის დავიწყეთ გარდაქმნის პრაქტიკული ამოცანების არსებითად გადაწყვეტა და მთელი სამუშაო წინ გველის.

მოდით, ამხანაგებო, ნუ მიეუდგებით გარდაქმნას წმინდა მუშტრული პოზიციებიდან. ეს მინდა გულახდილად დაფიქრათ. ნუ აგვწყვეტინებენ ეს მნიშვნელოვანს წუთიერი გამორჩენით. მოდით, გარდაქმნაზე ლაპარაკისას ვიფიქროთ ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ადამიანების სოციალური განწყობილებისა და იმის შესახებ, თუ როგორ გაწვლოთ უფრო სწრაფად მეთორმეტე ხუთწლედის ძნელი წლები.

მაგრამ მოდით არა მარტო ვიფიქროთ, არამედ ვიმოქმედოთ კიდეც ამავე სულისკვეთებით. მაშინ ჩვენი წინსვლა დინამიკურ ხასიათს შეიძენს და, მაშასადამე, იქნება შედეგებიც ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროშიც. ვფიქრობ, ყველას სჭირდება ასეთი გაგება ახლანდელი დროისა, რომელშიც ვცხოვრობთ.

ამას, რომ ვამბობდი, პლენუმზეც აღვნიშნე და მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა — ჩვენ, რა თქმა უნდა, გარდაქმნის საქმეს ისე უნდა გავუძღვეთ, რომ უკვე ახლა, დღევანდელი პირობებით და შესაძლებლობებით მაინც გავაუმჯობესოთ სიტუაცია ჩვენი ხალხის ცხოვრების ყველა მიმართულებით. მაგრამ ეს ციური მანანა კი არ იქნება, არამედ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების შესასრულებლად გაწევული ჩვენი მუშაობის შედეგები. შესრულდება გეგმები — შესრულდება სოციალური პროგრამაც.

ამასთან დაკავშირებით უნდა გითხრათ, რომ პოლიტბიუროში და საბჭოთა მთავრობაში ძალზე საფუძვლიანად განვიხილეთ 1986 წლის შედეგები და ხუთშაბათს მეორე წლის იანვრის შედეგები.

რა გვაწუხებს ყველაზე მეტად? ეს იხმაურება იმაზე, რაზეც აქ ამხანაგებმა ილაპარაკეს.

ჯერჯერობით სახალხო მეურნეობამ ვერც საჭირო ტემპს მიაღწია და ვერც სტაბილურობა შეინარჩუნა. ეს ფაქტია. ეს ფაქტია, ეს ფაქტია. ეს ფაქტია. ეს ფაქტია.

განვავითაროთ თეორიული აზრი, სრულვყოთ სწავლება!

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა საზოგადოებათმცოდნეობის დისციპლინების მასწავლებლების თათბირი

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობის გარდაქმნის კონკრეტული ამოცანები განიხილა საზოგადოებათმცოდნეობის დისციპლინების მასწავლებელთა რესპუბლიკურმა თათბირმა. თათბირზე განსახილველ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების საკავშირო თათბირის გადაწყვეტილებათა მიხედვით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსის რეალიზაციაში მათი როლის გადიდების გზები და საშუალებები.

იმ პრობლემების მთელი სპექტრის პრინციპულ, კრიტიკულ განხილვას, რომლებიც უკავშირდებიან უმაღლესი სკოლის გარდაქმნას, მარქსისტულ-ლენინური თეორიით აღჭურვილი ისეთი სპეციალისტების მომზადებაში მისი როლის გააქტიურებას, ამ თეორიის პრაქტიკულად გამოყენება, ახლებურად აზროვნება და მოქმედება რომ შეუძლიათ, ტონი მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. ი. პატიაშვილის შესავალმა სიტყვამ.

მოხსენებაში, რომელიც გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ, თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში მოელი მომთხოვნელობით იყო გაანალიზებული რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების მდგომარეობა, ღრმად და საფუძვლიანად იქნა განხილული საკითხი, თუ რამდენად შეესაბამება იგი თანამედროვე მოთხოვნებს, როგორ წარმოება გარდაქმნისა და მისი დაჩქარების პირობებში. გამოავლინეს რა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები და ხარვეზები, მათი წარმომშობი მიზეზები, ორატორებმა მთელი ყურადღება მიაპყრეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეების საკავშირო თათბირზე მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და დასკვნებს. მათზე, ამ თათბირზე ი. კ. ლიგაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ მითითებებზე დაყრდნობით, კამათის მონაწილეებმა გამოთქვეს საიმისოდ გამიზნული კონკრეტული წინადადებები, რომ სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში ეხმარებოდეს მომავალ ინჟინრებსა და აგრონომებს, ექიმებსა და მასწავლებლებს უნარიანად შეუხამონ თანამედროვე მეცნიერების უმაღლეს მიღწევათა დონის ცოდნა და პროფესიული კომპეტენტურობა იდეურ რწმენას, პოლიტიკურ სიმწიფეს, დიდ ზნეობრიობასა და სოციალურ აქტიურობას.

პრაქტიკაზე ორიენტირებით, მისი გასწრებით

დაჩქარების სტრატეგიის თეორია და პრაქტიკა, უმაღლესი სკოლის, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს გარდაქმნა დაჟინებით მოითხოვს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების სრულყოფას, დღევანდელობის რეალობებთან მის დაახლოებას. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მითითება იმის თაობაზე, რომ ცხოვრებისეული პრობლემებისა და წინააღმდეგობების, საზოგადოებრივი ტენდენციებისა და პერსპექტივების გაცნობიერების დონე ბევრად არის დამოკიდებული თეორიული აზრის მდგომარეობასა და განვითარებაზე, თეორიული ფრონტის ატმოსფეროზე.

რესპუბლიკაში ეს ატმოსფერო სასიკეთოა, აღინიშნა თათბირზე, მაქ არის ყველა შესაძლებობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აქტივიზაციისათვის, რომელთაც მდიდარი და სასახელო ტრადიციები აქვთ. ფართოდ არის ცნობილი ფსიქოლოგების, ენათმეცნიერების, ალმოსავლეთმცოდნეების, ისტორიკოსების, ხელოვნების ისტორიკოსების საბჭოთა ქართული სკოლები. ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც კარგად არის ცნობილი ჩვენი ფილოსოფოსების, ეკონომისტების შრომები. საინტერესო, ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარულ ინსტიტუტებში, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებზე.

მრავალი სამეცნიერო კოლექტივის ყურადღების ცენტრშია ადამიანის პრობლემის, მისი ღირებულებითი ორიენტაციების, სულიერი კულტურის ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა ასპექტები. პირველი ნაბიჯები იდგმება საბჭოთა საზოგადოების განვითარების დიალექტიკის, ადამიანის ფაქტორის როლის კომპლექსური, დისციპლინათშორისი კვლევის მიმართულებითაც. საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებმა შეიმუშავეს საქართველოს სს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების საწყისი კონცეფცია 20 წლის კომპლექსური პროგრამის მიხედვით, შეასრულეს მთელი რიგი სხვა მნიშვნელოვანი გამოკვლევები. უმაღლესი სასწავლებლებისათვის შეიქმნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები, წარმატებით დაინერგა პრაქტიკაში სპეკურსები თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიის კრიტიკის აქტუალურ პრობლემებზე.

